www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 1 ხუთშაბათი, 2013 წელი. | №3335 (142) | ფასი 50 თეთრი

ეკონომიკის ვარდნა - შეფერხება თუ საგანგაშო რეალობა

2013 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა მინუს 0,8 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების დოკუმენტის თანახმად, რომელიც „საქსტატმა“ გუშინ გამოაქვეყნა, 2013 წლის მეორე კვარტლის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ - 1,3 პროცენტი, ხოლო 2013 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 1,8 პროცენტი შეადგინა.

„აღნიშნული შეფასებები საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომელსაც მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად იყენებენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„შეჯიბრი ტრაქტორებით„ თუ „შეჯიბრი მტკიცებულებებით„

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმე“ სასამართლოს მოლოდინში

2013 წლის 13 ივლისს, საქართველოში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა კონსტიტუციური რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამარბერგმა, მთავარი პროკურორის მოადგილეს ლაშა ნაცვლიშვილს წერილი მისწერა ე.წ „ტრაქტორების საქმესთან“ დაკავშირებით.

„დაკვირვებით შევისწავლე აღნიშნული დოკუმენტი და კვლავ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის მტკიცებულებებით გამყარებული საქმე მათ წინააღმდეგ, ვინც ეჭვმიტანილად სცნეს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი წარმატებით განახლდა

ივა შილაკაძე

29 და 30 ივნისს ვაშინგტონში აშშ-ს შუამავლობით დაიწყო მოლაპარაკებები ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის. სამშვიდობო პროცესი სამი წლის წინ, 2010 წელს შეწყდა და მას შემდეგ დიალოგის განახლება მხარეებს რეალურად არ უცდიათ. შემდეგი პერიოდი ცალმხრივ მოქმედებებს და პალესტინელების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრების მცდელობას დაეთმო.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

არჩევანი-არადანი

ზურა თალაკვაძე

ზაზა ფაჩულია სლოვენიაში ვერ ითამაშებს. კაპიტანი ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ ააწყვეს და იგორ კოკოშკოვი ზაზას ვერ მიიღებს. მინუსი. თორნიკე შენგელია სლოვენიაში ვერ ითამაშებს. პროხოროვის გუნდის წევრმაც ქირურგებთან შეიარა, კორექციის შემდეგ გაკერილი სხეული უნდა დაასვენოს და გასოლებთან, არაგასოლებთან და გორტატებთან საქართველო ორი დომინანტი მაღალი ბიჭის გარეშე დაიღლება. ძნელი იქნება. ესპანეთთან, სლოვენიასთან, მძიმე და აგრესიულ პოლონეთთან, საკალათბურთო ხორვატიასთან და ამბიციურ ჩეხეთთან ძნელი იქნება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

იგორ კოკოშკოვი

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

„ბათუმობა„ და სხვა

Batumi Summer Set Fest-ის ბილეთები არ გაძვირდება

ია ვეკუა

სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენს ზღვისპირა კურორტებზე „ხავერდოვანი სეზონის“ მასპინძლობისთვის დაიწყებენ მზადებას, ბათუმში წლის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება დაიწყება. „ბათუმობა 2013“ მრავალწლიანი პაუზის შემდეგ წელს მეორედ გაიმართება და ქალაქის დაარსებიდან 135 წლის იუბილეს მიეძღვნება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„სახელმწიფო მასწავლებელს ვერაფერს დაავიწყებს“

თიკა ნიკოლაძე

2013 წლის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე ჩაჭრილ მასწავლებელთა რიცხვი, გასულ წლებთან შედარებით, გაზრდილია. გავრცელებული ინფორმაციით, გამოცდაზე გასულ პედაგოგთა 80 პროცენტზე მეტმა კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა. კერძოდ, წელს ზღვარი ვერ დაძლია: ფიზიკაში მასწავლებელთა 96 პროცენტმა, ქიმიაში - 82-მა, მათემატიკაში - 85-მა, ისტორიაში - 57-მა, გეოგრაფიაში კი - 49 პროცენტმა.

„ნაციონალური მოძრაობაში“ მიიჩნევენ, რომ გამოცდებში მიღებული არასახარბიელო შედეგები სახელმწიფოს მიერ მასწავლებლებისადმი გამოჩენილი უყურადღებობის ბრალია. სერგო რატიანის განცხადებით, 2013 წელს პედაგოგებს არ გაეწიათ მეთოდური დახმარება, რომელსაც აქამდე მასწავლებლის სახლი ახორციელებდა, სადაც ტრენინგები უფასო იყო. ამასთან, რატიანი ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდების დისკრედიტაცია მოახდინა და მასწავლებლებს გამოცდებისთვის მომზადების მოტივაცია გაუქრათ.

მათ გაუჩნდათ მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში გამოცდები მკაცრი არ იქნებოდა,“ - განმარტავს რატიანი და გამოცდებზე მასწავლებელთა უმრავლესობის ჩაჭრას პოლიტიკურ დაკვეთად მიიჩნევს, რომელიც განათლების სამინისტრომ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შეასრულეს.

„ცენტრის ხელმძღვანელობას მოცემული მომენტისთვის მასწავლებელთა მომზადების დონე უნდა სცოდნოდა. ნებისმიერი ტესტის შედგენისას გათვალისწინებულია გამოსაცდელი სუბიექტების გამოსაცდელი დონე და ამის გამომწვევი მიზეზები,“ - აღნიშნავს რატიანი.

სასერტიფიკაციო გამოცდებზე მასწავლებელთა უმრავლესობის მიერ ზღვარის დაუძლევლობა უყურადღებოდ არც «ახალ მემარჯვენეებს» დაუტოვებიათ. პარტიაში მიიჩნევენ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, განათლების სისტემაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებაა საჭირო და ეს სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხდება. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მანანა ნაჭყებიას განცხადებით, განათლების ბიუჯეტი, მინიმუმ, უნდა გაორმაგდეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები 15 აგვისტომდე განადგურდება

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები 15 აგვისტომდე განადგურდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ფარული ჩანაწერების საკითხზე შექმნილი კომისიის წევრმა ლაშა ტუღუშმა კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

„ყველაზე სენსიტიური, მძიმე და ბინძური ჩანაწერი რაც არსებობს, აუცილებლად განადგურდება 15 აგვისტომდე," - აღნიშნა ტუღუშმა.

მისივე ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების რაოდენობა ბოლო პერიოდში გაიზარდა და ამ დროისთვის 99 ფაილს შეადგენს.

გარდა ამისა, ტუღუშის თქმით, პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი ჩაერთვება, რომელიც კომისიის გუშინდელ სხდომას პირველად ესწრებოდა.

„ის კომისიას მასალების ანალიზს წარუდგენს," - განმარტა ტუღუშმა.

ამასთან, მისი თქმით, ფარული ჩანაწერების შესახებ მომზადდება დებულება, რომელიც მთავრობის სხდომაზე გავა და დამტკიცდება.

„შსს-ში არსებობს უკანონო მასალების ძალიან დიდი არქივი, რომელსაც მართვა სჭირდება. კომისიამ უნდა შეიმუშაოს წესები, თუ რას გააკეთებს ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით," - აღნიშნა მან.

დემურ გიორხელიძე - ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშეა და ამის შესახებ პრემიერი გავაფრთხილე

ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშეა და ამის შესახებ პრემიერი რამდენიმე დღის წინ შეხვედრაზე გავაფრხილე, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს" „საქსტატის" მონაცემების კომენტირებისას ეკონომიკის ექსპერტმა დემურ გიორხელიძემ.

მისივე თქმით, სტატისტიკის სამსახურის მონაცემები ადასტურებს, რომ ეკონომიკური აქტივობა იანვრიდან ძალიან დაცემულია და ეკონომიკაში კარგი მდგომარეობა არ არის.

„ადამიანებს არ შეუძლიათ, დაიწყონ საქმიანობა, რადგან ქვეყანა ბანდიტური საბანკო სისტემის ხელშია. არაფერია გასაკვირი. ცხადია, ნულოვანი ზრდა მაისში და მინუს 0,8 პროცენტი ივნისში იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშეა და ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ შეხვედრაზე ვესაუბრე პრემიერს. ასევე, თვეებია, მთავრობას ვაფრთხილებ," - განაცხადა გიორხელიძემ.

მისივე თქმით, ის, რაც დღეს საქართველოს ეკონომიკას სჭირს, „ოპოზიციის ნახელავია".

„ზრდის ტემპები რომ უნდა შემცირებულიყო, ცხადია, რადგან ის სიმახინჯე, რასაც „ნაცმოძრაობის" ეკონომიკური ზრდა ერქვა, არ შეიძლებოდა, გაგრძელებულიყო. ის იყო ბლეფი. ის ეკონომიკა ნელ-ნელა ინგრევა. ცხადია, ამ ნგრევის პროცესში ზრდის ტემპები მაღალი ვერ იქნება, მაგრამ 2013 წელი მოსამზადებელია ყველა მხრივ, რომ ჩვენ შემდეგი წლიდან ეკონომიკური ზრდა მივიღოთ. შედეგები ნამდვილად ცუდია, მაგრამ არა - საგანგაშო," - აღნიშნა გიორხელიძემ.

ეკონომიკაში არსებულ ვითარებას საგანგაშოს უწოდებს ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე. როგორც კალანდაძემ განაცხადა, მთავრობას პრობლემებისადმი არასწორი და ზერელე მიდგომის ტენდენცია აქვს.

„ამ მიდგომების შედეგად მივიღეთ სურათი, რომ ტენდენციურად კლებადია მშპ, დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში. როდესაც ეკონომიკური კლება ტენდენციის ხასიათს იძენს, ეს უკვე გადამჭრელი ზომების მიღების საფუძველია," - განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, არაერთხელ მიუთითა ხელისუფლებას ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების შესახებ, თუმცა უარი მიიღო.

„პასუხად მივიღე, რომ ანტიკრიზისული გეგმა გვექნება მაშინ, როდესაც იქნება კრიზისი. როცა ქვეყანაში კრიზისი იქნება, შემდეგ არანაირი გეგმა აღარ გვიშველის. დღეს უკვე ბიზნესი პასიურ რეჟიმში გადავიდა და ზრდაზე ორიენტირებული არ არის. ასეთი რეჟიმი გრძელვადიან პერიოდში საშიშროებას აჩენს ბიუჯეტისთვის. წლის მეორე ნახევარში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბიუჯეტს პრობლემები შეექმნება. ბიუჯეტისთვის პრობლემების შექმნა კი გამოიწვევს პრობლემებს იმ სოციალური და სამედიცინო პროგრამების დაფინანსებაში, რაც ახალმა ხელისუფლებამ მრავლად აკიდა ბიუჯეტს," - აღნიშნა კალანდაძემ.

„სახელმწიფო მასწავლებელს ვერაფერს დაავიწყებს"

პირველი გვერდიდან

„მთლიანად უნდა შეიცვალოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების დაფინანსების მოდელი, მასწავლებლის პროფესია უნდა გახდეს პრესტიჟული ხელფასის მკვეთრი ზრდის ხარჯზე, შეიქმნას ძლიერი სტიმული იმისთვის, რომ პედაგოგიურ განათლებას იღებდეს და სკოლაში სამუშაოდ მიდიოდეს კურსდამთავრებულთა საუკეთესო ნაწილი, ჩამოყალიბდეს მჭიდრო კავშირი მეცნიერებასა და სკოლას შორის. ამისთვის აუცილებლად მიგვაჩნია, დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება გამოიჩინოს და განათლების სფეროს დაფინანსებაში გარღვევა მოახდინოს: განათლების ბიუჯეტი, მინიმუმ, უნდა გაორმაგდეს და დღეს არსებული მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების 8 პროცენტის ნაცვლად, 16 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს, ხოლო მშპ-ს მიმართ - დღეს არსებული 2,2 პროცენტის ნაცვლად 5 პროცენტამდე, - ამბობს ნაჭყებია.

პედაგოგთა სერტიფიცირების გამოცდების შედეგებს ეხმაურება განათლების ახალი მინისტრი თამარ სანიკიძე. მისი თქმით, ამ ეტაპზე სამინისტროს მიზანია, სერტიფიცირების გამოცდა ყველამ ჩააბაროს.

„არის გარკვეული საგნები, მაგალითად, სამოქალაქო განათლება და ისტორია, რომლებშიც პედაგოგებმა შარშანდელთან შედარებით ორჯერ უკეთესი შედეგი აჩვენეს. თუმცა თუ დავინახავთ იმ დინამიკას, რომ ეს მისია შეუსრულებელია, ეს პროცესი აუცილებლად გადაიხედება. ჯერჯერობით მიზანი მიზანია და დათქმულ პერიოდამდე სერტიფიცირების პროცესის გავლა ყველა მასწავლებელმა უნდა მოახერხოს. ყოველ შემთხვევაში, ეს კეთდება პედაგოგებისთვის და არა იმისთვის, რომ პედაგოგი დავსაჯოთ და შემდეგ ქუჩაში გავუშვათ," - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში თამარ სანიკიძემ.

განათლების მინისტრის ამ განცხადებას ეხმაურება ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი განათლების საკითხებში სიმონ ჯანაშია. მისი განმარტებით, სერტიფიცირების მიზანი ის კი არ არის, რომ ყველა მასწავლებელმა აიღოს სერტიფიკატი, არამედ ის, რომ ვინც ტრენინგებისა და საკუთარი ძალისხმევის შემდეგადაც ვერ იღებს ამ სერტიფიკატს, დაიწყოს მათი ეტაპობრივი ჩანაცვლება სხვებით, ვისაც ეს სერტიფიკატი აქვს და ვისაც ექნება.

„სახელმწიფომ პარალელურად მასწავლებლების მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამების მხარდაჭერა უნდა აამოქმედოს," - ამბობს სიმონ ჯანაშია.

სიმონ ჯანაშია პედაგოგთა დიდი რაოდენობის სასერტიფიკაციო გამოცდებში ჩაჭრასაც ეხმაურება და აღნიშნულ საკითხზე შედარებით ნორმალურ რეაქციად განათლების რეფორმის სისუსტეზე საუბარს მიიჩნევს.

„შედარებით ნორმალური რეაქციაა, როდესაც საუბრობენ განათლების რეფორმის სისუსტეზე. ისეთიც ბევრია, ვინც მიიჩნევს, რომ რეფორმა რომ არა, უკეთესი შედეგები იქნებოდა. მეორე კატეგორიასთან საუბარი, უბრალოდ, უსარგებლოა, რადგან მარტივ რამეს ვერ ხვდებიან, რომ მასწავლებელს სახელმწიფო ვერაფერს დაავიწყებს. ცხადია, ეფექტური რეფორმის პირობებში უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა (მაგ. უფრო მეტი ახალი მასწავლებლის მოზიდვა, არსებულების უფრო მეტად დაინტერესება, რომ პროფესიულად განვითარებულიყვნენ). მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე გამოცდა ათი წლის წინ რომ ჩატარებულიყო, სავარაუდოდ, ერთი პროცენტიც კი ვერ გადალახავდა ბარიერს. ამის მიზეზი კი მარტივია. დღევანდელი გამოცდის შინაარსი, ის თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები და განათლებისა და განვითარების თეორიები ათი წლის წინ მასწავლებლების აბსოლუტური უმეტესობისთვის უცნობი იყო. ამ შინაარსის დიდი ნაწილის შესახებ არათუ უმაღლესებში არ ასწავლიდნენ, არამედ ქართულად ერთი ბროშურაც კი არ არსებობდა. მასწავლებლებისთვის კი არა, ტესტების შემდგენლების დიდი ნაწილისთვის და მათი ხელმძღვანელებისთვისაც (მაგალითად ფიზიკოსებისთვის) დღემდე უცნობია ეს თეორიები და მიდგომები, - ამბობს სიმონ ჯანაშია.

სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებით უკმაყოფილოა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი. მისი თქმით, წელს, მაგალითად, ფიზიკაში 356 პედაგოგი აბარებდა გამოცდას, რომელთაგან 342-მა ზღვარის გადალახვა ვერ შეძლო.

„მეც ძალიან შეწუხებული ვარ ამ შედეგებით. წლების განმავლობაში ბევრი უნდა გაკეთებულიყო პედაგოგებისთვის, - ამბობს მიმინოშვილი და მიიჩნევს რომ პედაგოგები ნაკლებად არიან დამნაშავენი. **„პირველ რიგში, სახელმწიფის მიერ უნდა იყოს მაქსიმალური ხელშეწყობა. ზუსტი და მკაფიო სტრატეგიაა საჭირო. ეს გამოცდა სადამსჯელო ოპერაცია არ უნდა იყოს. კვალიფიკაციის ამაღლებაზე სამინისტრომ და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, უამრავი აქტივობების დაგეგმვაა საჭირო. ჩემს ორგანიზაციასა და ჩემს თავზეც ვფიქრობ, იქნებ ჩვენც მოვაკელით რამე, რაც ჩვენს კომპეტენციაში შედის. არ ვიცი, ძალიან ვარ შეწუხებული. მკაფიოდ მინდა ვთქვა, რომ არავინ გაიშვიროს თითი პედაგოგებისკენ. როდესაც სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პედაგოგმა საკუთარ კვალიფიკაციაზე იზრუნოს და საკუთარ თავზე მუშაობა შეძლოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება დავადანაშაულოთ კონკრეტული პედაგოგი,"** - ამბობს „ნეტგაზეთთან» გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

მაია მიმინოშვილის თქმით, გასულ წლებში სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები უფრო მაღალი იმიტომ იყო, რომ წლევანდელთან შედარებით ნამუშევრები უფრო ლოიალურად სწორდებოდა.

„როგორც ჩანს, უფრო ლოიალურად გასწორდა შარშან. აქ კიდევ ერთი ფაქტორია - პირველ წლებში გამბედავი პედაგოგები გამოვიდნენ, ვისაც საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და ეს დაადასტურეს კიდეც," - აცხადებს მიმინოშვილი.

მათემატიკის პედაგოგი, რომელსაც „24 საათი» ესაუბრა, წელს პროფესიული უნარების ტესტს შარშანდელზე რთულად არ მიიჩნევს, თუმცა ამბობს, რომ პედაგოგებს შორის ნამდვილად იყო იმის მოლოდინი, რომ წელს გამოცდა გასულ წლებთან შედარებით იოლი იქნებოდა. **„მიზეზი არ ვიცი, მაგრამ დიდი ნაწილი მართლა ფიქრობდა, რომ წლევანდელი გამოცდები გაცილებით მარტივი იქნებოდა და შესაძლოა, ამიტომაც არ მოემზადნენ,** - ამბობს პედაგოგი და აღნიშნავს, რომ თავად პროფესიულ უნარებში გამოცდამდე კერძო მასწავლებელთან ემზადებოდა.

ამ ეტაპზე არ გამოქვეყნებულა პედაგოგთა გამოცდების შედეგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხო ენაში. როგორც გამოცდების ეროვნულ ცენტრში ამბობენ, შედეგები ათი აგვისტოსთვის იქნება ცნობილი.

სტიქია რეგიონებში

სენაკში, წყალდიდობის ზონაში, გუშინ ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია იმყოფებოდნენ.

საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე, მინისტრებმა სენაკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისგან მიიღეს ინფორმაცია, რა სახის ზარალი მიადგა სენაკს სტიქიის შედეგად. როგორც დავით ნარმანია ამბობს, ზარალს შესასწავლად გამგეობაში სპეციალური ჯგუფი შეიქმნება და ამის შემდეგ მოსახლეობას ფინანსური დახმარება გაეწევა. მინისტრის თქმით, პროცესს მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციები გაუწევენ.

დავით ნარმანიას თქმით, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 800 000 ლარი უკვე გამოყოფილია. როგორც მინისტრი ამბობს, სენაკს წყლის მიწოდება თითქმის აღუდგა.

კახა კალაძის ინფორმაციით, რამდენიმე ოჯახი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი, თუმცა პრობლემა მალე მოგვარდება.

სტიქიამ ზარალი მიაყენა გურჯაანის მუნიციპალიტეტსაც. გურჯაანში მოსულმა ძლიერმა სეტყვამ სამი სოფელი - არაშენდა, მელაანი და ნანიანი დააზარალა. სეტყვა 10 წუთს გაგრძელდა და სულ 400 ჰექტრამდე ვენახი გაანადგურა. ასევე, განადგურდა სიმინდის ნათესი, საზამთროს ბაღები და ბოსტნეული კულტურა.

დაზარალებული მოსახლეობა წუხს, რომ თუ ხელისუფლება მათ შხამ-ქიმიკატებით არ დაეხმარება, ვენახის გადარჩენას ვერ შეძლებენ. სტიქიის ზონა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჯონი ოსიაშვილმა დაათვალიერა. მისი თქმით, სტიქიით მიყენებულ ზარალს გამგეობა დაითვლის და ცენტრალურ ხელისუფლებას ინფორმაციას მიაწვდის.

1-2 აგვისტოს ქვეყნის მასშტაბით უმეტესად უნალექო ამინდი შენარჩუნდება. აღმოსავლეთ საქართველოში დღეს ტემპერატურა იქნება დღისით +31 გრადუსი, ღამით - +11; დასავლეთ საქართველოში დღისით +30, ღამით - +13; თბილისში დღისით +30, ღამით +16.

საკუთარი ინფორმაცია

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ხუთშაბათობით მოსახლეობას შეხვდება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი დღეს, 11:00 საათიდან, საკრებულოში მოქალაქეების მიღებას იწყებს. როგორც მან გუშინ ჟურნალისტებს უთხრა, შეხვედრები ხუთშაბათობით მანამ გაიმართება, სანამ მსურველთა ნაკადი არ შეწყდება. **მე, როგორც საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ, მინდა აღვნიშნო, რომ მოქალაქეებთან აქტიურ ურთიერთობას ვაგრძელებთ. იმ ტრადიციას ვაგრძელებ, რომელიც ჩემი საკრებულოს წევრად არჩევის შემდეგ დავიწყე. ყოველ ხუთშაბათობით მოსახლეობასთან შეხვედრები მუდმივად მქონდა. მინდა, თბილისელებს ვუთხრა, რომ საკრებულოს კარი მათთვის ყოველთვის ღია იქნება,"** - ამბობს ირაკლი შიხიაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

კანდელაკი: „კაჩინსკიმ ივანიშვილთან შეხვედრაზე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის საკითხი დააყენა„

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იაროსლავ კაჩინსკი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ პოლონეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი მალგორძატა გოსიევსკა, ადამ ჰოფმანი, ასევე ევროპარლამენტის წევრები რიზარდ ზარნეცკი და ტომას პორება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, ბიძინა ივანიშვილმა იაროსლავ კაჩინსკის მადლობა გადაუხადა პოლონეთის მხრიდან საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ასევე ქვეყნის სუვერენიტეტის, არაღიარების პოლიტიკისა და ტერიტორიული მთლიანობის უანგარო მხარდაჭერისთვის.

„24 საათი“ საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი კანდელაკს ესაუბრა, რომელიც პრემიერთან შეხვედრამდე იაროსლავ კაჩინსკს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში კოლეგებთან ერთად შეხვდა. როგორც კანდელაკი ამბობს, კაჩინსკიმ ივანიშვილთან ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის საკითხი დააყენა. მისი თქმით, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, რომ ვანო მერაბიშვილი გამოძიებისგან მიმალვას აპირებს. **„მერაბიშვილი უცხოეთში 4-ჯერ იმყოფებოდა, თუმცა დაკითვაზე მუდმივად დროულად ცხადდებოდა,“** - აღნიშნავს კანდელაკი.

გიორგი კანდელაკი გამოძიების არგუმენტს აფასებს, რომელიც წინასწარი პატიმრობის მოტივად მერაბიშვილის მხრიდან მტკიცებულებების შესაძლო გაყალბებასა და მოწმეებზე ზეწოლის საფრთხეს ასახელებს. **„გამოძიება დასრულებულია, მტკიცებულებები მოგროვებულია. რაც უკვე დასრულებულია იმაზე მერაბიშვილი როგორ მოახდენს ზეწოლას. თუმცა, დასრულებული რომც არ იყო?, მტკიცებულება არ იყო, რომ ზეწოლას აპირებდა,“** - თქვა გიორგი კანდელაკმა. მისი მტკიცებით, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ წინასაარჩევნო პროცესში მთავარი ოპოზიციური პარტიის მთავარი მენეჯერი პატიმრობაში იმყოფებოდეს.

საკუთარი ინფორმაცია

ეკონომიკის ვარდნა - შეფერხება თუ საგანგაშო რეალობა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა, წინასწარი შეფასებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს,“ - განმარტავენ „საქსტატში“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მრჩეველი გია ხუხაშვილი „საქსტატის“ მონაცემებს საგანგაშოდ და დრამატულად არ მიიჩნევს. მისი განცხადებით, ეს არ არის სისტემური პრობლემა, მხოლოდ დროებითი შეფერხებებია, რაც მალე დასტაბილურდება.

ამ თემაზე ოპოზიციის პროტესტს კი მთავრობის მრჩეველი საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებას უკავშირებს.

„საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო და ეს ის თემაა, რომელზეც მიიჩნევენ, რომ მისი დრამატიზება უნდა მოხდეს. თამაშის წესები ასეთია. მათ მაქსიმალურად უნდა გაამუქონ ყველაფერი. ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, სასიამოვნო და კარგი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი დასტაბილურდება და უახლოეს მომავალში სურათი რადიკალურად შეიცვლება,“ - აღნიშნა ხუხაშვილმა.

„საქსტატის“ ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტი გამოეხმაურა.

მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მონაცემები საგანგაშოა, რადგან პირველად, მრავალი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკა რეცესიაში გადავიდა.

„წინა თვეებში ჩვენ გვქონდა სტაგნაცია, ახლა გვაქვს რეცესია. საქართველოს არა აქვს უფლება, ეკონომიკა მცირდებოდეს, რადგან ამაზე დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიური კეთილდღეობა. ჩვენ წელს 11-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ვვარაუდობდით და ამის ყველა საფუძველი არსებობდა. 11-პროცენტიანი ზრდის მინუსებში გადაყვანა, მართლაც, მსოფლიო რეკორდია. მე ამის მაგალითებს, ომის სიტუაციის გარდა, სხვა ქვეყნებში ვერ ვიხსენებ. ეს არის არაკომპეტენტურობის და მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგი, - აღნიშნავს პრეზიდენტი და დასძენს, - **შევარდნაძის შემდეგ ჩვენს ქვეყანას ეს პრობლემა აღარ ახსოვს.“**

მისივე თქმით, კერძო საინვესტიციო ფონდების შექმნა ეკონომიკის მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ამიტომ მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ეკონომიკაში საკუთარი კაპიტალის ჩადებისკენ მოუწოდებს.

„მინდა, პრემიერ-მინისტრს მოვუწოდო, თავისი ფული პირდაპირ ჩადოს ეკონომიკაში. განაახლონ შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც, მაგალითად, თბილისის შემოვლითი რკინიგზა, რომელზეც 200 მილიონი უკვე დავხარჯეთ, განაახლონ პორტის მშენებლობა და შეწყვიტონ მავნე კანონების განხილვა პარლამენტში, რადგან ესეც პირდაპირ ურტყამს ეკონომიკას,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, უნდა გადაიხედოს „რევანშიზმის პოლიტიკაც“, რადგან **„რევანშიზმის“ პირობებში საქართველოში ფულს არავინ ჩადებს. „რევანშიზმი გამოიხატება იმაში, რომ ყველა ჩვენი პროექტი ჯინაზე შეჩერდა, ახალი პროექტები აღარ იწყება და მიმდინარეობს პოლიტიკური რეპრესიები დაჭერების თვალსაზრისით,“** - აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი და მთავრობას ერთობლივ მუშაობას სთავაზობს, რათა „ეკონომიკა არ ჩამოიშალოს“. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრება.

„საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით სულდგმულობს ჩვენ მიერ დატოვებული რამდენიმე მილიარდით და ჩვენ მიერ დატოვებული ტურიზმით. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეწყვიტოს ტურიზმის რეკლამირება საერთაშრისო არხებზე, რაც მომავალ წლებში ტურიზმსაც დაარტყამს, იმის ფონზე, რომ დადნება ჩვენ მიერ დატოვებული ფული, რომელიც უაზრო პროექტებში იყრება. ამიტომ, ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა, ყველა ერთად დავსხდეთ და გავაკეთოთ ისე, რომ საქართველოს ეკონომიკა არ ჩამოიშალოს,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, დარჩენილ საპრეზიდენტო ვადაში მთავრობის არსებულ გუნდთან ითანამშრომლოს და მათ რჩევებიც მისცეს. **„მზად ვართ, ვიმუშაოთ მთავრობასთან, არსებულ გუნდთან, მივცეთ რჩევებიც, საერთაშორისო არენაზე გავუკეთოთ რეკლამა, როგორც აქამდე, რათა როგორმე ხელახლა ამუშავდეს ჩვენი ეკონომიკური მექანიზმი. თუ ეს არ მოხდა, ამას საქართველოსთვის გრძელვადიანი დამანგრეველი შედეგი ექნება. ამის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ საჭიროა, ყველა ერთად დავსხდეთ, სერიოზულად მივიღოთ ეს საფრთხე და ამის თავიდან ასაცილებლად ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს,“** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრს ღია წერილით მიმართავს საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე.

„ეკონომიკა არ არის ციფრები და სტატისტიკა. ეკონომიკა ცალკეული მოქალაქეების ყოველდღიური გადაწყვეტილებების კრებულია, გააკეთონ რამე თუ არ გააკეთონ, გარისკონ თუ არ გარისკონ, გათვალონ 1 წელზე, 5 წელზე, 10 წელზე თუ 3 დღეზე. საბოლოო ჯამში, სწორედ ასეთი გადაწყვეტილებები აისახება იმ ეკონომიკურ მაჩვენებლებში, რომლებზეც მე ვსაუბრობ უკვე რამდენიმე თვეა საპარლამენტო თუ სხვა ტრიბუნებიდან და რომლებშიც მუდმივი გაუარესების ტენდენცია აღინიშნება.

მთავარი პრობლემა, რომლის გაცნობიერება და/თუ აღიარება თქვენს მთავრობას არ სურს, არის არასტაბილურობის განცდა. იმის გამო, რომ ჩვენი თუ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს უჭირთ, განჭვრიტონ, როგორი იქნება საქართველოში ეკონომიკური თუ პოლიტიკური გარემო. ისინი ერიდებიან აქ ინვესტიციების ჩადებას, სესხის აღებას, ბიზნესის დაწყებას/გაფართოებას და ა.შ. და ა.შ. მეტიც, მათი ნაწილი საკუთარი კაპიტალის უფრო სტაბილურ სივრცეში გადატანას ცდილობს, რადგან საქართველოში მომავალი უკიდურესად არაპროგნოზირებადი გახდა შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. და თუ არასტაბილურობის განცდა ხელისუფლების ცვლილებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში შეიძლებოდა დაგვებრალებინა ახალი პოლიტიკური რეალობისთვის (რასაც თქვენი მთავრობის წევრები, თქვენივე ფრაზეოლოგია რომ გამოვიყენო, წარმატებით ახერხებდნენ), დღეს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან 10 თვის შემდეგ, ამაზე საუბარიც კი არასერიოზულია, - წერს დეპუტატი.

ზურაბ ჟაფარიძეს ღია წერილში კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს, როგორც ეკონომიკის დარგში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე კონკრეტული ქმედებების სახით, და ბოლოს წერს:

„დასასრულს მინდა, გავკადნიერდე და რამდენიმე რჩევა მოგცეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება:

დაიწყეთ აღიარებით. აღიარება ყოველთვის კარგია, მიუხედავად იმისა, ნაციონალური მოძრაობა ხარ თუ პრემიერ-მინისტრი. აღიარეთ, რომ თქვენი პოლიტიკური გუნდის ეკონომიკური პროგრამა იყო სრულიად უვარგისი, რადგან ემყარებოდა ზემოხსენებული „ექსპერტებისგან“ და გაზეთ „ასავალ-დასავალიდან“ მიღებულ ინფორმაციას. აღიარეთ, რომ ვერ აღმოაჩინეთ ელიტური კორუფცია. ასეთი ფენომენის აღმოჩენის შემთხვევაში, ეს ხომ პოზიტიურად უნდა ასახულიყო როგორც ეკონომიკაზე, ისე საბიუჯეტო შემოსავლებზე. ჩვენ კი საპირისპირო ტენდენციებს ვხედავთ. აღიარეთ, რომ ვერ იპოვეთ ის ვიღაც თუ ვიღაცები, ვინც იჯდა (ისხდნენ) საწვავის, ელ. ენერგიისა და ბუნებრივი აირის ფასის წილში. აღიარეთ, რომ ვერ მოიძიეთ მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და კარტერული გარიგებები საწვავის თუ ფარმაცევტულ ბაზრებზე, რადგან არც ერთ ამ ბაზარზე 10 თვის შემდეგ არ დაფიქსირებულა ფასების ექსტრაორდინალური ცვლილება. აღიარეთ, რომ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს დაწინაურება უკანასკნელ წლებში იყო რეალური წარმატება და არა ფასადური, და რომ ეს რეიტინგები მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვისა და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებისთვის. აღიარეთ, რომ საქართველოს ბიუჯეტი დაგხვდათ ზუსტად ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს იყო საჯაროდ გაცხადებული, რადგან სხვა შემთხვევაში, ვერ შეძლებდით 2013 წლის ბიუჯეტის იმ პარამეტრებში დაგეგმვას, როგორც დაგეგმეთ და... ა.შ. და ა.შ.

აირჩიეთ მეტი თავისუფლება. ეცადეთ, თქვენი თუ თქვენი გუნდელის ყველა ინიციატივა მიმართული იყოს მეტი თავისუფლებისკენ და არა მუდმივად რაღაცის შეზღუდვისკენ, როგორც ეს ხდება უკვე თითქმის 10 თვეა. როგორც ერთმა გონიერმა ადამიანმა თქვა, თავისუფლება არასდროს იკარგება ერთბაშად, მას ყოველთვის ნაბიჯ-ნაბიჯ ვკარგავთ. თავისუფლების ნაბიჯ-ნაბიჯ დაკარგვასთან ერთად კი, ნაბიჯ-ნაბიჯ გაჩერდა საქართველოს ეკონომიკაც.“

ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელობაში ბრალდებული გაამართლეს

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით, მეზობლის მკვლელობისა და დაჭრისთვის ბრალდებული 49 წლის ვაჟა ახალკაციშვილი მკვლელობის ბრალდებაში გამართლდა.

ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილება გუშინ მოსამართლემ ეკა არეშიძემ გამოაცხადა.

ვაჟა ახალკაციშვილი რამდენიმე მუხლით იყო ბრალდებული. ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით, მას ბრალდება რამდენიმე მუხლში მოეხსნა და ბრალი დაედო იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში. ვერდიქტის მიხედვით, იგი მკვლელობის ჩადენის დროს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვაჟა ახალკაციშვილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში, 108-ე მუხლში, ასევე 19-109-უ მუხლში, ხოლო დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველ ნაწილში, ასევე 111-ე მუხლის პირველ ნაწილში.

აღნიშნული მუხლების მიხედვით, ვაჟა ახალკაციშვილს სასჯელის შთანთქმის საფუძველზე შეეფარდა ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ათვლა დაიწყო მისი ბრალის წარდგინების თარიღიდან - 2012 წლის 25 დეკემბრიდან.

როგორც სასამართლო პროცესის შემდეგ ვაჟა ახალკაციშვილის ადვოკატმა გიორგი ონიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია.

ადვოკატის შეფასებით, ნაფიცი მსაჯულების პირობებში მართლმსაჯულებაში კანონიერება დამკვიდრდება და დღევანდელი გადაწყვეტილება სამართლის ისტორიაში შევა.

რაც შეეხება ბრალდების ეპიზოდს, ადვოკატის განმარტებით, საქმე ეხება 2005 წელს ვაჟა ახალკაციშვილის მხრიდან ბინის შეძენის ფაქტს, რომლის სანაცვლოდ მან 11 ათასი დოლარი გადაუხადა მეზობლებს, და-ძმა ციალა და ელგუჯა ნიკოლიძეებს.

„მეზობლებმა მას უთხრეს, რომ ბინის გაფორმების საკითხებში პრობლემები არსებობდა, რადგან ბინა მემკვიდრეობით უნდა გადაეფორმებინათ, რის შემდეგაც ისინი მყიდველზე გადააფორმებდნენ, თუმცა ამით დრო გაწელეს, რის შემდეგაც ბინები გაძვირდა და მეზობლებმა მოინდომეს, აღარ მიეცათ ვაჟა ახალკაციშვილისთვის ფართი. მას სთავაზობდნენ ფულის დაბრუნებას, რაზეც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უარზე იყო და ფართს ითხოვდა. შემდეგ მიმართა პროკურატურას, რის საფუძველზეც ერთ-ერთი მეზობელი ელგუჯა ნიკოლიძე დააკავეს, თუმცა გიორგის სანაცვლოდ მძიმე ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ელგუჯა ნიკოლიძესთან მივიდა ვაჟა ახალკაციშვილი და სცადა, შეეშინებინა. ამ დროს გამოჩნდა ელგუჯა ნიკოლიძის და ციალა ნიკოლიძე, მოხდა შელაპარაკება და ვაჟა ახალკაციშვილმა ვეღარ მოითმინა, აღელვების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღი გახსნა და-ძმის მიმართულებით. და გარდაიცვალა, ხოლო ძმა დაიჭრა,“ - განაცხადა ადვოკატმა.

მისი ინფორმაციით, სწორედ აქედან გამომდინარე დაკავეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი რამდენიმე მუხლის საფუძველზე და მისი ერთ-ერთი ბრალდება იყო განზრახ მკვლელობა, ასევე განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

„სწორედ ამ ნაწილში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ნაფიცმა მსაჯულებმა უდანაშაულოდ ცნეს,“ - განაცხადა ონიანმა.

ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, 49 წლის ვაჟა ახალკაციშვილი მძიმე ავადმყოფია და შესაძლოა, ამ მოტივით მან სასჯელის სრული ვადა არც მოიხადოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ამოქმედების შემდეგ გუშინ პირველად გამოაცხადეს ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა, როგორც ცნობილია, ნაფიცი მსაჯულების შერჩევა კიდევ რამდენიმე საქმეზე მიმდინარეობს.

მოშიმშილე პატიმარი სკამზე დაეჭედა

რუსთავის N17 დაწესებულებაში მოშიმშილე მსჯავრდებული გიორგი ხურციძე გუშინ ღამით სკამზე სასქესო ორგანოთი დაეჭედა. ამის შესახებ გიორგი ხურციძის დამ, ქრისტინე ხურციძემ განაცხადა.

ქრისტინე ხურციძის ინფორმაციით, მას N17 დაწესებულებიდან სხვა მსჯავრდებულებმა დაურეკეს და უთხრეს, რომ გიორგი სკამზე სასქესო ორგანოთი დაეჭედა, რის გამოც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისივე თქმით, ის გუშინ დილიდან იმყოფებოდა N17 დაწესებულებაში და ციხის დირექტორ ალექსანდრე ბირთველიშვილთან შეხვედრას ითხოვდა.

ქრისტინე ხურციძის განცხადებით, N17 დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ გიორგი ხურციძე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და მას სათანადო სამედიცინო დახმარებას უწევენ.

მოშიმშილე მსჯავრდებულების ოჯახის წევრები N17 დაწესებულებასთან შეიკრიბნენ და დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას მისვლას ელოდნენ.

უკვე 11 დღეა, რაც მე-17 დაწესებულებაში 50-მდე მსჯავრდებული შიმშილობს. ისინი მოითხოვენ, რომ მათი განაჩენი გადაიხედოს, ზოგიერთი კი მათი საკითხის ე.წ. უდოს კომისიაზე განხილვას მოითხოვს. მოშიმშილე პატიმართაგან ერთ-ერთის, ირაკლი შულაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ორი დღის წინ დამძიმდა.

ირაკლი შულაიას, არსებული ინფორმაციით, სამედიცინო დახმარებას უწევენ და წვეთოვანი აქვს დადგმული.

სნოუდენის მამა: შვილის ადგილზე რუსეთში დავრჩებოდი

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენის მამამ, ლონ სნოუდენმა „პ-24“-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი შვილის ადგილზე რომ იყოს, რუსეთში დარჩებოდა. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება მის შვილს დროებით თავშესაფარზე უარს არ ეტყვის: „მიმაჩნია, რომ რუსეთს აქვს შესაძლებლობა, ჩემი შვილი დაიცვას და მათ აარიდოს, ვისაც ედუარდისათვის ზიანის მოტანა შეუძლია. ამიტომ, მე რომ მის ადგილზე ვიყო, რუსეთში დავრჩებოდი.“ მან ასევე მადლობა გადაუხადა: „რუს ხალხს, ვლადიმირ პუტინს და ქვეყნის მთავრობას მათი სიმამაცისთვის.“ ლონ სნოუდენი შვილის სანახავად რუსეთში ჩასვლასაც გეგმავს.

ედუარდ სნოუდენი, რომელმაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გამოამჟღავნა, 23 ივნისიდან მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონას აფარებს თავს. მან რუსეთის ხელისუფლებას დროებითი თავშესაფრის მინიჭების თხოვნით მიმართა.

მაკკეინი ეგვიპტეში ჩავა

ამერიკელმა «რესპუბლიკელმა» სენატორებმა ჯონ მაკკეინმა და ლინდსი გრემმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მათ მომდევნო კვირას ეგვიპტეში ჩასვლა სთხოვა. მათი ვიზიტის მიზანი იქნება, სამხედროები ახალი არჩევნების ჩატარებაში დაარწმუნონ. «რესპუბლიკელ» სენატორებს ვიზიტის დეტალების შესახებ დაწვრილებით არ უსაუბრიათ, თუმცა აღნიშნეს, რომ ისინი ეგვიპტეში შერიგების პროცესში წვლილის შეტანას შეეცდებიან. თეთრ სახლს სენატორების ეგვიპტეში ვიზიტის შესახებ ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებია. ვიზიტს, სავარაუდოდ, სხვა მიზანიც აქვს, რადგან ეგვიპტის ახალმა ხელისუფლებამ საარჩევნო გრაფიკი უკვე გამოაქვეყნა.

3 ივლისს არმიამ ხელისუფლებას ჩამოაშორა მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი, რომელიც ამ დრომდე უცნობ ადგილზე ჰყავთ დაპატიმრებული. ცოტა ხნის წინ მურსის საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი კეტრინ ეშტონი შეხვდა. მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება, რომლებიც მურსის პრეზიდენტად დაბრუნებას მოითხოვენ. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი საპროტესტო გამოსვლისას მურსის 70 მხარდამჭერი დაიღუპა.

ზიმბაბვეში პრეზიდენტს ირჩევენ

ოთხშაბათს ზიმბაბვეში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. როგორც ვარაუდობენ, არჩევნებზე მაღალი დასწრება იქნება. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, სამშაბათს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ, რომელიც ქვეყანას 33 წელია მართავს, განაცხადა რომ თუ არჩევნებში დამარცხდება, გადადგება. ამ განცხადებამდე პრემიერ მორგან ცვანგირის პარტიამ «მოძრაობა დემოკრატიული ცვლილებებისთვის“ მუგაბეს პარტია «პატრიოტული ფრონტი“ საარჩევნო სიების გაყალბებაში დაადანაშაულა. ქვეყანაში საარჩევნო კამპანიამ მშვიდ ვითრებაში ჩაიარა. არჩევნების ოფიციალურ შედეგებს რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებენ. როგორც აღნიშნავენ, საარჩევნო სიებში ე.წ «მკვდარი სულების“ არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა.

ბრეივიკს ოსლოს უნივერსიტეტში ჩაბარება სურს

ანდერს ბრეივიკმა, რომელმაც 2011 წელს 77 ადამიანი მოკლა, ოსლოს უნივერსიტეტში მიღებაზე განცხადება შეიტანა. უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პიტერ ოტერსენმა განცხადების მიღების ფაქტი დაადასტურა. მისი თქმით, აბიტურიენტების ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. ოსლოს ცენტრში მოწყობილი აფეთქებისა და კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდულ ბანაკზე თავდასხმისთვის ბრეივიკს ნორვეგიაში არსებული მაქსიმალური სასჯელი - 21 წელი მიუსჯეს.

ესპანეთში მატარებლის ავარიის დროს მემანქანე მობილურზე საუბრობდა

ესპანეთში მატარებლის ავარიის გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ კატასტროფის დროს მემანქანე ტელეფონზე ლაპარაკობდა. ჩქარი მატარებელი, რომელიც მადრიდიდან ფეროლში მიდიოდა, რელსებიდან 24 ივლისს გადავიდა, რასაც 79 ადამიანი ემსხვერპლა. გამომძებლების თქმით, რელსებიდან გადასვლის დროს მატარებელი 153კმ/სთ-ში მოძრაობდა. მემანქანემ დამუხრუჭება რამდენიმე წამით ადრე დაიწყო, როცა სიჩქარე 192 კმ/სთ იყო. ავარია მკვეთრ მოსახვევში მოხდა, სადაც მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე 80კმ/სთ-შია. მემანქანე ფრანსისკო ხოსე გარსონისთვის ამის გამო ჯერ ბრალი არ წაუყენებიათ, მაგრამ მზადდება ბრალდება სამუშაო ადგილზე გულგრილობისა და გაუფრთხილებლობით ადამიანების მკვლელობისა და სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენებისთვის. შეჩერებულია მისი ლიცენზია. მემანქანის წარმომადგენლების თქმით, ის აღიარებს, რომ ავარია მისი ბრალია.

ერაყის აფეთქებებზე პასუხისმგებლობა „ალ ქაიდას“ ფილიალმა აიღო

«ალ ქაიდას“ შვილობილმა დაჯგუფებამ პასუხისმგებლობა აიღო ორშაბათს ერაყის ტერიტორიაზე მოწყობილ აფეთქებებზე, რასაც 60 ადამიანი ემსხვერპლა. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ეს შეიარაღებული მებრძოლების მიერ «ლია ომის“ გამოცხდებას ნიშნავს. «ერაყის ისლამიტური სახელმწიფოს“ განცხადებით, მათ საგულდაგულოდ შეარჩიეს სამიზნეები - უმთავრესად შიიტები. ამ წლის დასაწყისიდან მოყოლებული, ქვეყნის მასშტაბით მოწყობილ აფეთქებებს 4000 ადამიანი ემსხვერპლა. მხოლოდ ივლისში შეირაღებული მებრძოლების თავდასხმებს 900 ადამიანი შეეწირა. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, თავდამსხმელების მიზანი ქვეყანაში ქაოსის შექმნაა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი წარმატებით განახლდა

პირველი გვერდიდან

არაბების ამ ძალისხმევამ მხოლოდ ნაწილობრივი შედეგი გამოიღო, მათ ოდნავ აიმაღლეს სტატუსი გაეროში, მაგრამ სამაგიეროდ გაირთულეს ურთიერთობა ისრაელთან. ოფიციალურ იერუსალიმს დასავლეთმა ძლივს გადაათქმევინა მშენებლობების განახლება ორივე მხარისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონა „E-1“-ში, რაც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს, ფაქტობრივად, ორად გახლეჩდა.

მოლაპარაკებებისთვის მზადებასა და მხარეების წინასწარ პოზიციებზე ჩვენ დაწვრილებით უკვე ვწერდით. იმედის მომცემია ის, რომ თითქოს ისრაელიც და პალესტინის ავტონომიაც კომპრომისზე წასვლის სურვილს გამოთქვამენ, მაგრამ რამდენად გულწრფელები არიან ამ თვალსაზრისით პალესტინელები, ცოტა საეჭვოა, რადგან ბოლო დღეებში პალესტინის ადმინისტრაციის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა ნაკლებად ოპტიმისტური განცხადება გააკეთა. შეხვედრების შინაარსი უაღრესად გასაიდუმლოებულია, ამიტომ ჩვენც ჯერ მხოლოდ პროტოკოლსა და გეგმებზე საუბარი შეგვიძლია.

ორშაბათს, საღამოს, მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერის მიერ მოწყობილ „სამუშაო ვახშამზე“, სადაც ისრაელის დელეგაციის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრი ციპი ლივნი და პალესტინის დლეგაციის ხელმძღვანელი, უცვლელი „მომლაპარაკებელი“ საიბ ერეკატი გვერდიგვერდ ისხდნენ. ჯონ კერიმ სამშვიდობო პროცესის აღსადგენად ბოლო თვეებში ძალიან აქტიურად იმუშავა. დიალოგის განახლების მთავარ ინიციატორად კერი მიიჩნევა. მანვე დაითანხმა მხარეები მოლაპარაკებებზე და ამისთვის რეგიონში ბოლო ნახევარ წელიწადში ექვსჯერ ჩავიდა. სამშაბათს დელეგაციები აშშ-ს პრეზდენტმა ბარაკ ობამამ მიიღო. იმავე დღეს, მოგვიანებით, მხარეებს შორის კიდევ ერთი შეხვედრა შედგა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში.

კერიმ განაცხადა, რომ „ეს ძალიან, ძალიან განსაკუთრებული მომენტია“. მან მხარეებს მშვიდობის მისაღწევად გონივრული კომპრომისებისკენ მოუწოდა. „ვიცი, რომ მოლაპარაკებები რთული იქნება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თუ დიალოგი არ იქნება, კიდევ უფრო უარეს შედეგებს მივიღებთ“. მისივე სიტყვებით, „მოლაპარაკების მაგიდასთან განიხილება ყველა საკითხი. მიზანი ყველას ერთი გვაქვს - მოვაგვაროთ კონფლიქტი“.

ამას გარდა, ჯონ კერიმ მედიისთვის კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მხარეები შეთანხმდნენ, საიდუმლოდ შეინახონ მოლაპარაკებების შინაარსი და „დიალოგის შესახებ ერთადერთი განცხადება ის იქნება, რაც ახლა მე ვთქვი“. მომავალშიც განცხადებებს მხოლოდ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გააკეთებს.

მხარეები ჯერ მხოლოდ მოლაპარაკებების გრაფიკზე და ხანგრძლივობაზე შეთანხმდნენ. ისრაელის და პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლები შედეგის მიღებას 9 თვეზე გაწერილი მუშაობის შემდეგ ელოდებიან. სერიოზული კონკრეტული საკითხების განხილვა ორი კვირის შემდეგ დაიწყება, მანამდე კი კიდევ ერთი შეხვედრა ახლო აღმოსავლეთში, საკუთრივ ისრაელში ან პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე შედგება. პალესტინის დელეგაციის წარმომადგენელმა ჰანან აშრავიმ განაცხადა, რომ „საჭიროა შეხვედრების გრაფიკზე და მსვლელობაზე მოლაპარაკება და შემდეგ ამ შეთანხმების დაცვა, ჩვენ კარგი შედეგის მიღების იმედი გვაქვს“. ნაკლებად ოპტიმისტური იყო ავტონომიის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი, რომელსაც უფრო რადიკალური მიდგომა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი საჯაროდ გამოხატავს დათმობებისთვის მზადყოფნას. „ვერ ვხედავ, რომ ამ ეტაპზე გვაქვს შესაძლებლობა, შევთანხმდეთ პალესტინის სახელმწიფოს საბოლოო სტატუსზე. პალესტინის ტერიტორიაზე არ უნდა დარჩეს არც ერთი ისრაელელი - არც სამხედრო პირი და არც სამოქალაქო“.

ისრაელის იუსტიციის მინისტრისა და დელეგაციის ხელმძღვანელ ციპი ლივნის შეფასებით, შეხვედრებზე არსებული ატმოსფერო „პოზიტიურია“. მან გაიმეორა, რომ მოლაპარაკების მაგიდაზე ყველა საკითხი დევს, მაგრამ ნათქვამი ოთახის გარეთ არ გამოვა. ციპი ლივნიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები განახლდა „არ მხოლოდ აშშ-ს ზეწოლის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ეს ორივე მხარის ინტერესია“. მისივე თქმით, ისრაელის მთავრობის ყველა წევრი პალესტინელებთან მოლაპარაკების მომხრეა.

მენინგის განაჩენმა ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები გამოიწვია

ივა ჭილაძე

სამშაბათს სამხედრო ტრიბუნალმა დამნაშავედ ცნო სამხედრო დაზვერვის ყოფილი ანალიტიკოსი, რიგითი ბრედლი მენინგი მისთვის წაყენებული ბრალდებების თითქმის ყველა პუნქტში - ყველაზე სერიოზულის მტრისთვის დახმარების გაწევის გარდა, რომელიც გულისხმობს სამუდამო პატიმრობას ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე (ამაზე ჩვენ გუშინ უკვე ვწერდით).

მისი განაჩენით უკმაყოფილოა სახელმწიფო ბრალდება და, სავარაუდოდ, აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (თუმცა, თეთრ სახლს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია). ამ განაჩენს საშიშ პრეცედენტად მიიჩნევს აგრეთვე ჯულიან ასანჟი, მისი საიტი „ვიკილიქსი“ და მათი თანამოაზრეები. მხოლოდ ბრედლი მენინგის ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ვერდიქტი მათთვის მაქსიმალურად მომგებიანია და ახლა შეუძლიათ, შეძლებისდაგვარად მცირე სასჯელისთვის იბრძოლონ.

ტრიბუნალმა 30 ივლისს ძალიან მცირე დრო მოანდომა განაჩენის გამოცხადებას. მოსამართლემ, პოლკოვნიკმა დენიზ ლინდმა ბევრი არ ისაუბრა, მაგრამ პირობა დადო, რომ თავის გადაწყვეტილებას მომავალში დეტალურად დაასაბუთებს წერილობით. გუშინ დაიწყო სასამართლო სხდომების სერია, რომლებზეც მენინგის სასჯელი უნდა გადაწყვიტონ. პროცესის ამ სტადიაზე, რომელიც შეიძლება, რამდენიმე კვირის განმავლობაში გაიწელოს, მხარეები, დაახლოებით, 20 მოწმეს გამოიძახებენ. დახურულ სხდომაზე მოისმენენ ხელისუფლების მიერ წარდგენილ ცნობას, რომელშიც აღწერილი იქნება, თუ კონკრეტულად რა საიდუმლოებები გადასცა მენინგმა „ვიკილიკსს“. პროცესი სამი წელი მზადდებოდა და მიმდინარეობდა. მენინგი 2010 წელს ერაყში, სამსახურის ადგილას დააპატიმრეს და სამშობლოში გადაიყვანეს. ბრალდების მხარე სულ დროს ითხოვდა გაცემული დოკუმენტების უზარმაზარი მოცულობისა და ბრალდების მტკიცების სირთულის გამო. 2012 წლის თებერვალში სამხედრო პროკურორმა ეშდენ ფაინმა განაცხადა, რომ იმ მომენტისთვის ბრალდებამ დაცვის მხარეს 41828 დოკუმენტი გადასცა, რომლებშიც, მთლიანობაში 402 ათასი გვერდი იყო.

მენინგი ბრალდებების ნაწილს თავად აღიარებდა, მაგრამ ის დამნაშავედ ცნეს, დაახლოებით, ორი ათეული პუნქტით. მათ შორის არის: შპიონაჟი, სახელმწიფო საკუთრების ქურდობა, თაღლითობა გამომთვლელი მანქანის გამოყენებით, ბრძანებების შეუსრულებლობა, სამხედრო წესდების დარღვევა და სხვ. თეორიულად, შეკრებითობის პრინციპით მას შეიძლება, ციხე 136 წლით მიუსაჯონ.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ „ვიკილიკსმა“ ბრედლი მენინგის მიერ გადაცემული დოკუმენტები სამ ეტაპად გამოაქვეყნა: 2010 წლის 25 ივლისს „ავღანური დოსიე“ - დაახლოებით, 90 ათასი საიდუმლო სამხედრო მოხსენება; 22 ოქტომბერს „ერაყული დოსიე“ - 391 ათასი ანალოგიური დოკუმენტი და 28 ნოემბერს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 250 ათასი დოკუმენტი - ძირითადად, საელჩოებიდან სამინისტროში გაგზავნილი სამსახურებრივი მოხსენებები და საუბრების ჩანაწერები, რომლებშიც ღია ტექსტით იყო ლაპარაკი სხვადასხვა სახელმწიფოთა მეთაურებსა და მთავრობის წევრებზე.

მენინგის ადვოკატმა დევიდ კუმსმა განცხადა, რომ მათ ბრძოლა მოიგეს და ახლა ომი უნდა მოიგონ. „დღეს კარგი დღე იყო, მაგრამ ბრედლი ისევ საფრთხის ქვეშაა“. მიმომხილველების ნაწილი დღეს უკვე ცალსახად აცხადებს, რომ მენინგმა, თურმე, სწორად გამოიცნო, როდესაც მოითხოვა, რომ მისი საქმე მოსამართლეს განეხილა და არა ნაფიც მსაჯულებს.

ჯულიან ასანჟმა ვერდიქტი გუშინ დაგმო. მან განაჩენს უწოდა „სახიფათო პრეცედენტი“, ასევე „ექსტრემიზმის მაგალითი ეროვნული უსაფრთხოების სფეროში“. ტრიბუნალი და სასამართლო პროცესი, ასანჟის აზრით, „არასამართლიანი“ იყო, ხოლო მენინგი „გმირია“. მისი სიტყვებით, „ვიკილიკსი“ არ მოისვენებს, სანამ ის ციხეშია. ასანჟი მიიჩნევს, რომ ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით „მხოლოდ ამერიკის მთავრობის სიამაყე დაზარალდა“.

ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს განაჩენი სერიოზული გაფრთხილებაა თუნდ იმავე სნოუდენისა და ყველა იმ პირისთვის, რომელიც მენინგის მიბაძვას გაბედავს. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს „ვიკილიკსის“ მუშაობაზეც აისახება, რადგან ამიერიდან მათთან საქმის დაჭერა ძალიან ბევრს შეეშინდება.

განაჩენით უკმაყოფილოა სახელმწიფო ბრალდება. მათ, ცხადია, ბრედლი მენინგის სამაგალითოდ დასჯა სურდათ - იგულისხმება მტრის ხელშეწყობის ბრალდება და სამუდამო პატიმრობა. ეს კი არ გამოუვიდათ. ბრალდების ინფორმაციით „ვიკილიკსის“ მასალები უსამა ბინ ლადენის სახლში ნახეს, შესაბამისად, ის მათ იყენებდა და ეს, პროკურორების მტკიცებით, მენინგს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული. სასამართლო, ეტყობა, ნაწილობრივ გადაიხარა დაცვის არგუმენტების მხარეს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „გულუბრყვილო ახალგაზრდას“ სხვა მოტივი ამოძრავებდა და დოკუმენტები ამ მიზნით არ გამოუქვეყნებია.

უფრო მეტიც, ამ განაჩენს ზოგი მიმომხილველი განიხილავს, როგორც ობამას ადმინისტრაციის მუშაობის ჩავარდნას, რომელიც აქტიურად იბრძვის სამთავრობო საიდუმლოებების გაცემის წინააღმდეგ და მათ „გამანადგურებელი გამარჯვება“ სჭირდებოდათ. აშშ-ს მედია იხსენებს, რომ ამერიკის ყველა წინა პრეზიდენტმა ერთად მხოლოდ სამი საქმე აღძრა საიდუმლოებების მედიისთვის გადაცემის გამო, ობამას დროის კი ასეთი საქმე უკვე შვიდია.

„ბათუმობა„ და სხვა

პირველი გვერდიდან

როგორც მსგავსი დღესასწაულებისას ხდება, „ბათუმობაც“ ჟანრობრივად განსხვავებული გასართობ-შემეცნებით-პრაქტიკული ღონისძიებებისგან შედგება, რომელთა ძირითად ნაწილსაც კულტურული ხასიათის საღამოები წარმოადგენს. სწორედ მათ შორის გახლავთ Batumi Summer Set Fest-იც.

ამ ფესტივალთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ოდნავ ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი ცოტაოდენი თავად „ბათუმობის“ შესახებ. ღონისძიებების სერია 31 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლითაა დაგეგმილი და საიუბილეო თარიღის გათვალისწინებით, მასშტაბური და განსაკუთრებული უნდა იყოს. იგეგმება ცნობილი ბათუმელების (ძირითადად მათი, ვინც წარმატებას საზღვარგარეთ მიაღწია), ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების დელეგეციების, დიასპორების წარმომადგენლებისა და სხვა საპატიო სტუმრების მოწვევა. ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება ბათუმის ისტორიის ამსახველი ფოტოების გამოფენა, რომელიც ქალაქის განვითარების თითქმის მთელ დინამიკას ასახავს. „ბათუმობის“ მესამე დღეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლებს, რომელსაც ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესის სასწავლებლების წარმომადგენლეთა გარდა თურქეთიდან ჩამოსული სტუმრებიც დაესწრებიან. ღონისძიებათა სიაში შედის ყავის ფესტივალიც, რომლის მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სტუმრებს საკუთარი რეცეპტით მოდურებულ ყავას და ტკბილეულს შესთავაზებენ.

ეს ღონისძიებათა მხოლოდ მცირე, სამუშაო ვარიანტიდან ამოკრებილი, ჯერ კიდევ დაუზუსტებელი დეტალებია, Batumi Summer Set Fest-თან დაკავშირებით კი დიდი ხანია ყველაფერი გარკვეულია: მზად არის მონაწილეთა ჩამონათვალი და ტექნიკური მხარეებიც დაზუსტებულია. ახლა კი ბილეთებთან დაკავშირებულ სიახლეს გაგაცნობთ: ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებით კონცერტებზე დასასწრები ბილეთების ფასი, როგორც ადრე იყო გამოცხადებული, აღარ მოიმატებს. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ თვის წინანდელი ინფორმაციით თუ სამდღიან აბონემენტს 1 აგვისტომდე შეიძენდით, მასში მხოლოდ 70 ლარს გადაიხდიდით, ხოლო ერთი დღის ბილეთი 35 ლარი დაგიჯდებოდათ. 1 აგვისტოს შემდეგ აბონემენტის ფასი 120 ლარამდე აიწევდა, ხოლო ბილეთი 50 ლარი ეღირებოდა. ახალი ინფორმაციის თანახმად კი 1 აგვისტოდან ბილეთები და აბონემენტები აღარ გაძვირდება და მათ საწყის ფასად იყიდით. აქვე შეგახსენებთ, რომ ბილეთების შეძენა დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროს გარდა, ბათუმის აეროპორტსა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ჯიხურებში შეგიძლიათ.

შეგახსენებთ Batumi Summer Set Fest-ის ლაინაპს: ფესტივალს ელექტრომუსიკის საკმაოდ ძველი წარმომადგენელი, დანიური Laid Back გახსნის, რომელმაც 80-იან წლებში სახელი მსოფლიო ჰიტ Sunshine Reggae-თი გაითქვა. ამავე ჯგუფის დისკოგრაფიაში ირიცხება კომპოზიცია Happy Dreamer-იც, რომელიც ჩვენთან ასევე პოპულარული იყო. წინასწარი ინფორმაციით, ამ კომპოზიციებს ჯგუფი ბათუმშიც შეასრულებს. ამავე დღის აფიშაშია ჩასმული მექსიკელი დიჯეი Betoko - მადონასთან თანამშრომლობის გამოცდილებითა და ლონდონური კარიერით. მის შემდეგ ასევე დიჯეი Synkro-ს მოვუსმენთ, რომელიც დაბსტეპის ჟანრის ერთ-ერთ წამყვან დიჯეიდ მიიჩნევა. ელექტრონული, ექსპერიმენტული ტექნო, გლიჩი, IDM - ამ ყველაფრის სინთეზს კი გერმანელი დიჯეი Phon-O-ს შემოქმდება წარმოადგენს, რომელსაც ქართველი მსმენელი უკვე იცნობს - რამდენიმე თვის წინ ის Future Shorts-ის ფესტივალის ფარგლებში გვსტუმრობდა.

23 აგვისტოს ლაინაპს Sleep Party People გახსნის - პროექტი, რომლის მუსიკალურ ჟანრსაც საბოლოო დეფინიცია ჯერ არ გააჩნია, თუმცა ეს მეორეხარისხოვანი საკითხია, რადგან კურდღლის ნიღბებს მიღმა დამალული მუსიკოსები ძალიან საინტერესო, ექსპერიმენტულ მუსიკას ასრულებენ. ამავე დღეს გამოვა სცენაზე Giraffage - ახალგაზრდა ამერიკელი მულტიინსტრუმენტალისტი, ასევე მინიმალ ტექნოს მოყვარულთათვის კარგად ცნობილი მაქს კუპერი და დომინიკ ელბერგი.

ფესტივალის დახურვის დღეს იგეგმება ჰედლაინერ Faithless-ის კონცერტი. Insomnia, God Is a DJ, We Come 1 - ამ კომპოზიციების ავტორ ჯგუფს ბათუმში Sister Bliss და Maxi Jazz წარმოადგენენ, რომლებიც Batumi Summer Set Fest-ზე მორიგი მუსიკალური ჯადოქრობის ჩადენას იმუქრებიან.

24 აგვისტოს კიდევ ერთ შემსრულებელს მოვუსმენთ - მინიმალისა და ტექნოს ძალიან წარმატებულ პროექტს Rone. გარდა ამისა, ფესტივალის ფარგლებში გაიმართება მაია დარსმელიძის ელექტრონული პროექტ Mao & The Mins-ის პრეზენტაცია, ასევე მოვუსმენთ ქართველ დიჯეებსაც.

დისკუსია დუშეთში - მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებისათვის

დღეს. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით იმართება საქართველოს მცირე და საშუალო ზომის ისტორიული ქალაქების საკოორდინაციო შეხვედრა და თანამშრომლობის დეკლარაციის პროექტის ხელმოწერა.

შეხვედრას დაესწრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რეგიონული თვითმმართველობის წარმომადგენლები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე და სააგენტოს თანამშრომლები.

შეხვედრის მიზანია, საქართველოს ისტორიულ ქალაქებში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ინტენსიური ჩარევების ფონზე, ურბანული მემკვიდრეობის მართვის ჯანსაღი, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის ერთობლივი ჩამოყალიბება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, შეუქცევადი შეცდომებისა და მემკვიდრეობის რესურსების ხელყოფა-განადგურების აცილების მიზნით.

დუშეთი ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით ურბანული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელბული პროექტის მონაწილე საპილოტე ქალაქია და მხარდამჭერია საქართველოს ისტორიული ქალაქების ქსელის ჩამოყალიბების.

საინტერესოა ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კიდევ ერთი ინიციატივა. ისტორიული ქალაქების მართვის გაუმჯობესებისა და ამ კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის ახალი საერთაშორისო პროექტი ამოქმედდა.

პროექტი ხორციელდება ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატისმხარდაჭერით და ეყრდნობა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის «კიევის ინიციატივის რეგიონული პროგრამის» ფარგლებში ისტორიულ ქალაქებში მუშაობის გამოცდილებას.

პროექტის ფარგლებში დღეს და ხვალ დუშეთში გაიმართება მცირე და საშუალო ზომის ისტორიული ქალაქების საკოორდინაციო შეხვედრა. შეხვედრის თანაორგანიზატორი და მასპინძელია დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. დუშეთი საქართველოს სხვა მცირე ისტორიულ ქალაქებთან ერთად კიევის ინიციატივის რეგიონული პროგრამის“ მონაწილე საპილოტე ქალაქია.

საქართველოს ისტორიულ ქალაქებში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ინტენსიური ჩარევებისფონზე, დღესდღეობით აქტუალურია ურბანული მემკვიდრეობის მართვის ჯანსაღი, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის ჩამოყალიბება. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქების თვითმმართველობების ერთობლივ მუშაობას და პრობლემების ობიექტურ შეფასებას მდგრადი განვითარებისას ერთიანი ხედვის შემუშავებისთვის.

ამ პროცესების პარალელურად მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, იმისთვის, რომ საუკეთესო გზით მოხდეს მემკვიდრეობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორის გამოყენება და თავიდან იქნას აცილებული შეუქცევადი შეცდომები და შედეგად, მემკვიდრეობის რესურსების ხელყოფა-განადგურება.

პროექტის საკოორდინაციო შეხვედრას გახსნიან და დაესწრებიან თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წარმომადგენლები საქართველოში, საქართველოს ისტორიული ქალაქების საკრებულოს თავჯდომარეები და სხვა მოწვეული სტუმრები.

„შეჯიბრი ტრაქტორებით„ თუ „შეჯიბრი მტკიცებულებებით„

პირველი გვერდიდან

თუმცა, ეს წერილი ეხება წინასწარი დაკავების გაგრძელებას იმ ხუთი პირის მიმართ, რომელთაც კვლავ აღკვეთილი აქვთ თავისუფლება.

მოგეხსენებათ, წინასწარი დაკავება მხოლოდ ისეთ გარემოებებში გამოიყენება, თუ არ არსებობს სხვა გზა, თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ პირმა შეაძლოა თავი აარიდოს გამოძიებას ან გაანადგუროს მტკიცებულება (აგრეთვე, თუ არსებობს პოტენციურ მოწმეზე ზეწოლის შესაძლებლობა).

ვაცნობე პრემიერმინისტრს ჩემი შეშფოთების შესახებ ამ საქმის თაობაზე და ჩემი აზრით, 5 დაკავებული ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“ ნათქვამია წერილში.

2013 წლის 5 აგვისტოს, საქალაქო სასამართლოში ამ გახმაურებული პროცესის განხილვა დაიწყება.

პროცესის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სასამართლოში, ბრალდების მხარის შუამდგომლობით, აღნიშნულ საქმეზე დაკავებულ ორი პირი - დოცენტები ზაზა მახარობლიძე და ოთარ ქარჩავა გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

„ვგავარ მე ახლა კრიმინალს და დამნაშავეს? მზად ვარ, სიკვდილამდე ვიბრძოლო და მაინც დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს და უდანაშაულობას,“ - განაცხადა სასამართლოდან გამოსულმა ზაზა მახარობლიძემ, რომელიც დაკავებამდე მექანიზაციის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

ლაშა ნაცვლიშვილს პასუხი ჰამარბერგის წერილზე დღემე არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, მედიისთვის არაფერია ცნობილი.

2013 წლის 22 ივლისს, წერილის მიწერიდან ზუსტად 9 დღეში, მთავარმა პროკურატურამ განცხადება გააკეთა:

„გამოძიების შედეგად ამომწურავად გაეცა პასუხი ორივე კითხვას, კერძოდ, უდავოდ დადასტურებულია, რომ ტრაქტორების შესყიდვის საქმეზე ივანიაძის მიერ გამოძიებისათვის ჩვენება მიცემულია საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში, დამოუკიდებლად, უშუალოდ მისი სურვილით, ყოველგვარი კანონსანინააღმდეგო ზეგავლენის გარეშე და მასში ასახული ყველა ფაქტობრივი გარემოება შეესაბამება სიმართლეს. მათი ნამდვილობა და უტყუარობა კი, ამ ჩვენებისაგან დამოუკიდებლად დადგენილია ათეულობით მოწმის ჩვენებებით, ამოღებული დოკუმენტებით, ნივთიერი, მათ შორის ვიდეო და სხვა ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.“ - ნათქვამი იყო პროკურატურის განცხადებაში.“

2013 წლის 23 ივლისს ჰამარბერგის წერილიდან 10 დღის თავზე, შსს-მ განცხადება გაავრცელა და მორიგი კადრების ჩვენება მოაწყო ტრაქტორების შეჯიბრით.

შს სამინისტრომ დაკავებული ექსპერტების მასალებს საგამოძიებო ექსპერიმენტი დაუპირისპირა, რომლის ვიზუალიზაციაც „ტრაქტორების შეჯიბრის“ ვიდეოჩვენებით მოახდინა. ჩვენებას თან ახლდა შემდეგი სახის განმარტება:

„ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკისა და „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორების ურთიერთშედარებით დადგინდა, რომ ექსპერიმენტის ოთხივე კომპონენტში, რაც მოიცავდა საცდელი ხნულების გატარებას, მიწის მოხვნას, ხნულების სიღრმესა და მოხვნის დროს, „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორმა მოიპოვა აბსოლუტური უპირატესობა. ექსპერიმენტის მიმდინარეობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოცდილების მქონე მექანიზატორები, ცხადყო, რომ „ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკის ტრაქტორმა შეფერხებით შეასრულა მიწის სამუშაოები.

ადვოკატ სოსო ბარათაშვილის თქმით, „როდესაც გამომძიებელი საგამოძიებო ექსპერიმენტს ატარებს, ბუნებრივია, უნდა მოიწვიოს იქ ექსპერტი. გამომძიებელი და პროკურორი არ არიან ექსპერტები. არ შეიძლება, რომ უვიცმა ადამიანმა, ჩაუხედავმა ამ სფეროში, გააკეთოს რაიმე სამეცნიერო დასკვნა“.

მისივე განცხადებით, გამოძიებამ ტრაქტორების ექსპერტიზას დაცვის მიერ მოთხოვნილი ექსპერტები არ დაასწრო:

„როცა მივიღეთ ინფორმაცია გამომძიებლისაგან, დაუყოვნებლივ მივმართეთ გამომძიებელს, რომ ჩაერთო ამ საქმეში ექსპერტები და ასევე უზრუნველეყო ზაზა მახარობლიძის და ოთარ ქარჩავას დასწრება - პროფესორების, რომლებიც არიან ამ საქმის სპეციალისტები საქართველოში. გამომძიებელმა უგულებელყო ეს ჩვენი თხოვნა. სანაცვლოდ წავიდნენ პროკურორი და გამომძიებელი და თვითონ ჩაატარეს ექსპერიმენტი.“

„გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს, რატომ არ იქნა აწონილი ტრაქტორები? რატომ არ გაიზომა საბურავების წნევა, რატომ არ იქნა გათვალისწინებული ის, რომ ეს თურქული ტრაქტორი იყო ახალთახალი, ხოლო „ზეტორს“ სამასზე მეტი მოტოსაათი ჰქონდა ნამუშევარი. რატომ არ გაითვალისწინეს ისიც, რომ ჩეხური ტრაქტორი იყო უკანა ბალასტის გარეშე.?

მალე სასამართლო პროცესი იწყება და საზოგადოებას უნდა შეუქმნან განწყობა, თითქოს „ტრაქტორების საქმეზე“ დაკავებული არიან დამნაშავეები,“ - აცხადებს ადვოკატი.

საია-ს წარმომადგენლები, რომლებიც საქმეში არიან ჩართულები, მიიჩნევენ, რომ პროკურატურის თანამშრომელთა ქმედებები ამ საქმეში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებს გასცდა და ძიება მიმდინარეობს იმ მეთოდებით, რომლებიც, შესაძლებელია, თავად შეიცავდნენ დანაშაულის ნიშნებს.

პრობლემური ვალების საკითხის განხილვისთვის

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე მორატორიუმის გამოცხადების იდეამ, რომელიც პარლამენტში ერთი მოსმენით დამტკიცების დონეზე გაჩერდა, საზოგადოების ნაწილში დიდი მოლოდინი გააჩინა, ფინანსურ წრეებში კი - შიში იმისა, რომ მსგავსი გადაწყვეტილება დაჩქარებულად და გაუაზრებლად იქნებოდა მიღებული.
ამ ეტაპზე კანონპროექტი გაჩერებულია, თუმცა თემა არ მოხსნილა.
ვერგადამხდელთა დიდი ნაწილი კვლავ ქონების გაყიდვის საფრთხის წინაშე დგას, საბანკო და ფინანსური სექტორი კი - კვლავ მორიგი გაუაზრებელი იდეის შემოგდების პერსპექტივის. ამიტომ, ვფიქრობთ, უდავოდ გასაანალიზებელია საფრთხეები, რომლებიც შეიძლება, მსგავს გადაწყვეტილებებს მოჰყვეს. ამისთვის დღეს კონკრეტულად იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვაზე 6-თვიან მორატორიუმის იდეა განვიხილოთ.

საზოგადოებაში არსებობს საინტერესო მიდგომა იმ საკითხის მიმართ, თუ ვინ არის დაზარალებული საფინანსო ინსტიტუტისა და მსესხებლის, ბანკისა და მსესხებლის დავაში - და ამ დროს საზოგადოება მიიჩნევს, რომ დაზარალებულია მხოლოდ ის ადამიანი, რომელმაც საფინანსო ინსტიტუტისგან საკუთარი სურვილით აიღო სესხი და სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ დააბრუნა. ამ დროს საზოგადოების თვალთახედვიდან აბსოლუტურად გამორჩენილია ის, რომ ამ დავაში დაზარალებულია ასევე საფინანსო ინსტიტუტი, რომელმაც თანხა გასცა და უკან ვერ მიიღო.

ფინანსისტების შეფასებით (რაც სასესხო ურთიერთობების საერთაშორისო ხედვასა და გამოცდილებას ეფუძნება) იპოთეკა წარმოადგენს საკრედიტო რისკის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებას. კერძოდ, ერთი მხრივ, კრედიტორს საშუალება აქვს, მსესხებლის მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შეამციროს ზარალი უზრუნველყოფის გაყიდვის გზით. მეორე მხრივ, უზრუნველყოფაში არსებული ქონების არსებობა მსესხებელს მოტივაციას აძლევს, პასუხისმგებლობით მოეკიდოს სესხის მომსახურებას.

მათ შორის, გადაულახავი პრობლემის არსებობისას, წესით, მსესხებელი თავად უნდა იყოს დაინტერესებული, დროულად, ჯარიმების დარიცხვამდე მოახდინოს ქონების რეალიზაცია უფრო მომგებიანად, ვიდრე ეს იძულებითი აღსრულების შემთხვევაში მოხდებოდა. რადგან რაც მეტი დრო გადის პრობლემური ვალის დაფარვამდე, მით უფრო იზრდება ამ ვალის ოდენობა.

ფინანსურ სფეროში ჩახედული ადამიანებისთვის აბსოლუტურად გაუგებარი გახლდათ, კონკრეტულად რა გათვლას დაეფუძნა 6-თვიანი მორატორიუმი და რა მოხდებოდა მორატორიუმის დასრულების შემდეგ. თუ კარგად დავფიქრდებით, მსხვილი დავალიანების გამო ქონების გაყიდვის 6-თვიანი გადავადება ვერ ხსნის პრობლემას და მეტიც: ამ პროცესში არ წყდება გაცემულ სესხებზე პროცენტის დარიცხვა. შესაბამისად, მორატორიუმის დასრულების შემდეგ მსესხებლებს უფრო მეტი დავალიანება დაუგროვდებოდათ, რაც მათ ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა, რადგან თუ ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით შესაძლებელია მიმდინარე ეტაპზე არსებული დავალიანების დაფარვა, ექვსი თვის განმავლობაში დაგროვებული ვალის დაფარვას ის, შესაძლოა, უკვე ვეღარ გამკლავებოდა.

გარდა ამისა, მსგავსი გადაწყვეტილებები საკრედიტო რისკებს ზრდის.

საკრედიტო რისკის ზრდა კი იწვევს, ერთი მხრივ, საკრედიტო პროდუქტების გაძვირებას, ხოლო, მეორე მხრივ, საკრედიტო აქტივობის შემცირებას. შესაბამისად, გადახდისუნარიანი მსესხებლებისთვის, (რაც, მაგალითად, კომერციული ბანკების შემთხვევაში იპოთეკური პორტფელის 99 პროცენტს შეადგენს), სასესხო პროდუქტები კიდევ უფრო გაძვირდება. ამასთან, საკრედიტო რისკის ზრდის შედეგად კრედიტორებს მსგავსი კრედიტების გაცემის ნაკლები მოტივაცია ექნებათ, რაც მოსახლეობისათვის კრედიტებზე ხელმისაწვდომობას შეზღუდავს. აღნიშნული ყველა საკრედიტო პროდუქტსა და ფინანსურ შუამავალს შეეხება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადია არა მარტო რეგიონში, არამედ სხვა უფრო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, რაც 2008-2009 წლების რუსული აგრესიისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს გამოვლინდა. გამომდინარე იქიდან, რომ კრედიტორები უზრუნველყოფაში არსებულ ქონებას ზარალის შესამცირებლად ვერ გამოიყენებენ, შოკების მიმართ საფინანსო სისტემის მდგრადობა შემცირდება. შესაბამისად, თუნდაც შედარებით მცირე შოკების შედეგად შესაძლებელია, ფინანსური ინსტიტუტები გაკოტრდნენ, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საბაზისო ფინანსური ოპერაციების შესრულება ვერ შეძლონ, ხოლო დეპოზიტარებმა თავიანთი დანაზოგები დაკარგონ. მსგავი გადაწყვეტილებები, შესაძლოა, ინვესტორების მოლოდინებზე ნეგატიურად აისახოს და ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო შეაფერხოს. ხელისუფლების მსგავსი განზრახვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც კი აჩენს ნეგატიურ მოლოდინებს, იწვევს ზემოაღნიშნული პრობლემების კატალიზებას, რაც მყისიერად და ცალსახად უარყოფითად აისახება ეკონომიკურ აქტივობაზე.

საზოგადოების ნაწილს აქვს ასევე მოლოდინი, რომ სახელმწიფო ვადაგადაცილებულ კრედიტებს გამოისყიდის (ან პირდაპირ დაფარავს).

თუ ეკონომიკური კუთხით შევხედავთ, ეს იქნება სუბსიდია. ეს სუბსიდია, ისევე როგორც ყველა სუბსიდია, სერიოზულ ეკონომიკური პრობლემებს ქმნის: პირველ რიგში, ამძიმებს ბიუჯეტის ტვირთს და არგადამხდელ მევალეთა გადასახადის გადახდის ვალდებულებას კეთილსინდისიერ საგადასახადო გადამხდელებს აკისრებს; მსგავსი პრეცედენტის დაშვება აუცილებლად გაზრდის არგადამხდელთა რაოდენობას - ანუ ხელს შეუწყობს ფინანსური დისციპლინის მოშლას: ერთი მხრივ, კრედიტორებს ექნებათ მოტივაცია, გასცენ შედარებით რისკიანი კრედიტები, თუ მათ ექნებათ იმის მოლოდინი, რომ პრობლემის შემთხვევაში სახელმწიფო მათ ცუდ კრედიტებს გამოისყიდის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ კრედიტებით მომხმარებლები დაუფიქრებლად ისარგებლებენ, იმავე მოლოდინების გამო.

შესაბამისად, ეს გამოსავალიც გამოსავალი ვერ იქნება და, შესაძლოა, დამატებითი პრობლემების საფუძველი გახდეს.

მაგრამ პრობლემა აქტუალურია და ის ათასობით ადამიანს ეხება. რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ სერიოზული სოციალური პრობლემის - მსესხებელთა მდგომარეობის გადასაჭრელად და გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ - თავისი წინასაარჩევნო დაპირების შესასრულებლად?

ამისათვის ალბათ პრობლემის განმაპირობებელ ფაქტორებს უნდა გადავხედოთ, რომელთა შორის შემდეგი საკითხებიც არის:

– ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - ხშირ შემთხვევაში მომხმარებელს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო სათანადო და სრული ინფორმაცია სასესხო პროდუქტის მახასიათებლების შესახებ. შესაბამისად, ხშირად მომხმარებლები საკუთარ თავზე გაუცნობიერებლად იღებენ ისეთ ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც შემდგომში რთულდება ან თითქმის შეუძლებელია.

– ჭარბვალიანობა - გარდა მომხმარებლისა, თავად კრედიტორი უნდა იყოს დაინტერესებული, შეამოწმოს მომხმარებლის გადახდისუნარიანობა. აღნიშნული შეამცირებს მომხმარებლის დეფოლტის ალბათობას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება კრედიტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

– არაადეკვატური ჯარიმები და საურავები - ამჟამად არ არსებობს საკანონმდებლო შეზღუდვა კრედიტზე დარიცხულ ჯარიმებსა და საურავებზე. შესაბამისად, საჭიროა კრედიტორის მიერ მისაღები შესაძლო მაქსიმალური თანხის განსაზღვრა გაცემული კრედიტის ოდენობასთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული ფაქტორები შესაძლოა, გარკვეული მარეგულირებელი ნორმების შემოღების წინაპირობას წარმოადგენდეს. ამასთან, ზემოაღნიშნული ფაქტორები არასაბანკო სექტორის მომხმარებლებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ზემოხსენებული და სხვა პოტენციური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფარგლებში საჭიროა მომხმარებელთა ფინანსური გათლების დონის ამაღლებისკენ მიმართული ნაბიჯების გაძლიერება. ფინანსური განათლების მაღალი დონის არსებობის პირობებში ზემოჩამოთვლილი ფაქტორები, დიდი ალბათობით, არ იარსებებდა.

მაგრამ, რა უნდა გაკეთდეს მოკლევადიან პერსპექტივაში, მით უმეტეს, რომ ფინანსური განათლების დონის ამაღლების მიუხედავადაც, ყოველთვის იარსებებენ პრობლემური მსესხებლები, რომელთა სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს:

– პირველ რიგში, დასადგენია პრობლემის მასშტაბი. არაერთხელ აღინიშნა, რომ პრობლემური მსესხებლები, რომელთაც საკუთარი ბინებიდან გამოსახლება ემუქრებათ, ძირითადად, კერძო არარეგულირებადი ფინანსური შუამავლების კლიენტები არიან. საჭიროა დადგინდეს მათი კონკრეტული რაოდენობა და მიმდინარე დავალიანების მოცულობა. ამასთან, საჭიროა პრობლემის მქონე მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირება, როგორიცაა სოციალურად დაუცველები, უკანასკნელი საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე საოჯახო მეურნეობები, ერთზე მეტი საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეები, 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ოჯახები და ა.შ.

– გასაანალიზებელია სახელმწიფოს როლი ყველაზე მეტად დაუცველი ჯგუფის კრედიტების შესაძლო დროებით გაყინვის, რესტრუქტურიზაციის ან რეფინანსირების საკითხში. აღნიშნული სქემის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ინტერესის ნაკლებობის შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებელი საქველმოქმედო ფონდების შექმნის შესაძლებლობა. ამასთან, გასათვალისწინებელია მორალური საფრთხის საკითხიც, რომელიც კრედიტორებსა და მსესხებლებს უპასუხისმგებლო ქცევისკენ უბიძგებს, რაც ფინანსური დისციპლინის მოშლის საფუძველია.

– არსებობს ბოლო საცხოვრებელი ბინის იპოთეკით დატვირთვის საშუალების შეზღუდვის შესაძლებლობაც. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული აკრძალვა კრედიტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას გამოწვევს. საქართველოში, ისევე როგორც მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, დაფინანსების ხელმიუწვდომლობის მთავარი მიზეზი უზრუნველყოფის არარსებობაა. შესაბამისად, მსესხებლებს, რომლებიც არასტაბილური და/ან მცირე შემოსავლის მიუხედავად უზრუნველყოფით საკრედიტო რისკების შემცირების პირობებში სარგებლობენ კრედიტებით, მსგავსი შეზღუდვის შედეგად ეს შესაძლებლობა, ფაქტობრივად, აღარ ექნებათ.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილებას სწავლობს და, შეეცდება, უფრო დეტალურად გაანალიზებული საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ მომავალში ვისაუბროთ. მანამდე კი ერთის თქმა ახლავე შეიძლება - გაუაზრებლად მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება არასწორია და პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის შეჩერება, მიუხედავად არსებული მწვავე პრობლემისა, უდავოდ მისასალმებელ ფაქტად უნდა განიხილებოდეს.

არჩევანი-არადანი

პირველი გვერდიდან



ზაზა ფაჩულია

ძნელი იქნება ჩასაფრებულ, დაუნდობელ და დილეტანტურ საქართველოსთან. იმ, მეორე საქართველოსთან, ვისთვისაც პროგრესი არ მოსულა და ვინც სხვის წარუმატებლობას თავის წარმატებად თვლის. სუსტი კაცის ჩვეულებრივი პოზიციაა. ამ მოწინააღმდეგესთან ყველაზე ძნელი იქნება.

მალე კალათბურთის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. საპრეზიდენტო ამბების არმრესტლინგი უკვე დაიწყო. სადღაც ბონუსებს ითვლიან. სადღაც საქმეს აკეთებენ. სადღაც სხვის საქმეს არ აკეთებენ. სადღაც კალათბურთის წესებს სწავლობენ. და სადღაც ჭორაობენ. ნაკრებზე თითქმის არავინ არ ფიქრობს. კალათბურთის ფედერაციის გარდა. სხვები თავის საკანცელარიო წიგნში ბევრს ინიშნავენ. მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგება, უკანა პატარა ჯიბეში ჩაკუჭული ჩანაწერები რომ გაშალონ და არგუმენტები აფრიალონ. ესეც მოსულა. ხდება ხოლმე. თან, საქართველოში ეს უნდა ხდებოდეს. საკალათბურთო არჩევნების დროს ყველა ერუდირებულის ნიღაბს მოირგებს. ზოგს ისიც გაახსენდება, რომ თბილისის „დინამოს“ ევროპის ჩემპიონთა თასი აქვს მოგებული.

საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში კარგი მწვრთნელები მუშაობენ. რეალურად კარგი მწვრთნელები. შედეგი მხოლოდ შედეგის მომტანია და პერსპექტივა უფრო საინტერესოა. დღეს ვაგებთ ბევრს და თუ ტვინს არ დავღლით, თუ მწვრთნელებს მუშაობაში ხელს არ შევუშლით, ყველაფერი კარგად იქნება. და მწვრთნელების დაცხრილვა დაიწყო. სადღაც ზემოთ, სახურავზე, სნაიპერი ზის და ნაკრებების მწვრთნელებს ცხრილავს. ცეცხლსასროლი იარაღის ნაცვლად, იმ ტიპს ბლანკიანი ფურცელი და კალამი უჭირავს და იწყება ბომბარდირება. დაუნდობელი ბომბარდირება. დაუნდობელი ბომბარდირება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ.

18-წლამდელებში მუშაობს მიხეილ ბერუაშვილი. რომელიც პარალელურად „რუსთავის“ მთავარი მწვრთნელი იყო. ბერუაშვილი მთავარი მწვრთნელი აღარ არის. შეიძლება დააბრუნონ, მაგრამ დღეს არ არის. იყო და დაისვენეო, უთხრეს.

16-წლამდელებში მთავარი მწვრთნელი იყო გია კაზანჯიანი. რომელიც პარალელურად „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელიც იყო. კაზანჯიანი მთავარი მწვრთნელი აღარ არის. იყო და დაისვენეო, უთხრეს.

დიდ ნაკრებში მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვია. ჯერ ისე ვქაჩავთ, რომ კოკოშკოვი ვაკის ან ვერის კაფედან მოვხსნათ და იგორი ჯერ ორ თანამდებობაზეა. ჯერ ვტოვებთ „კლივლენდში“ ასისტენტის პოსტზე. იგორის ასისტენტები დავით უსტიაშვილი და კოტე ტულუში არიან. კოტე „არმიაში“ მუშაობს. ან მუშაობდა. ან იმუშავებს. ან ვეღარ იმუშავებს. ერთ საიტზე ძალიან ფარული და ღრმა ტექსტით გაგვაგებინეს, რომ „არმიამ“ „მაღალკვალიფიციური ბალკანელი მწვრთნელი“ გაშანსა. და არ ვიცით (დამწერმა ვერ გაიგო) მწვრთნელის გვარი ან სახელი. და არ ვიცით (ალბათ, დამწერის სანდო წყარო ბოლომდე სანდო არ იყო) მეტი არაფერი. და 6 ღრმა ხაზში არ არის ნახსენები კოტე ტულუში. არც ერთხელ. შეიძლება „არმიამ“ ორმაგი ჯეკპოტი მოხსნას და ვინმე ბალკანელი და კოტე ერთ სავარძელში ჩასვას. ხდება ხოლმე.

საკლუბო ამბებში საკლუბო შეფები შეფობენ და კლუბებში ბევრი რაღაც ხშირად ალოგიკურად მიდის.

(ბერუაშვილი) „რუსთავი“ სუპერლიგის რეგულარულში გადის მესამეზე და ფლეი ოფში აგებს „ქუთაისთან“. ძალიან კარგ, ჭკვიან, მოქნილ გუნდთან, რომლის მთავარი მწვრთნელი იყო (ჯერ არის) დავით უსტიაშვილი. და „რუსთავში“ („ენერჯიც“ რომ იყო) ბერუაშვილი უსტიაშვილის ასისტენტი იყო. ბერუაშვილმა მოიგო სერიის პირველი გარჩევა ქუთაისში და მერე ორი თამაში საკუთარ ტერიტორიაზე წააგო. ხდება ხოლმე. იშვიათად, მაგრამ ხდება. „რუსთავი“ დასალაგებელი გუნდი იყო. კარგი ლეგიონერებით, ნორმალური ლოკალური ბიჭებით. „ქუთაისი“ უბრალოდ უკეთესი იყო. ბერუაშვილის გუნდმა მერე უმოტივაციოდ დახურა სეზონი. წაგებულს ვერ იგებდნენ პლატინი და ჟირესი. ვერ მოიგო „რუსთავმაც“. ნორმალური სეზონი, რომელიც უკეთეს გუნდთან წაგებით გადაშალეს. უსაფუძვლო მაქსიმალიზმი.

(კაზანჯიანი) „ოლიმპი“ გადის მეორეზე. მთლიანად, სეზონში მეორეზე. იგებს რეგულარულს და აგებს ბოლო სერიას. ბოლო სერიამ წამოიღო. ბოლო სერია კალათბურთი იყო. და კაზანჯიანმა ის სერია უკეთესი, უფრო კარგი და აზრზე მოსული ლეგიონერების „აკადემიასთან“ 2:3 დატოვა. შსს უბრალოდ უკეთესი იყო. და კაზანჯიანი იმ, მოგებული გუნდის მთავარ მწვრთნელზე კარგად კითხულობდა რაღაცებს. „ოლიმპმა“ მოიგო სუპერთასი. „ოლიმპმა“ მოიგო ქორქია/საკანდელიძე. „ოლიმპი“ თამაშობდა კალათბურთს და არა ონანიზმს კალათბურთის წესებით. კაზანჯიანი გაუშვეს. მოიყვანეს დათო თორთლაძე. რომელიც ამ ეტაპზე ცოტა სხვა საარჩევნო გუნდის მეგობარია. ესეც ნორმალური მომენტია. მეგობრები უნდა ამეგობრო. ოღონდ არა წარმატებული მწვრთნელების ხარჯზე. ეს ცოტა უხერხულია.

(ტულუში) „არმია“ გადის მესამეზე. ძველი „არმია“ ლეგიონერებთან ერთად არ იგებდა. ის „არმია“ გშლიდა, თავმოყვარეობას გართმევდა და თამაშის სურვილს გიჭრიდა. ჭრილობა არ ხორცდებოდა. ბევრს ეს აღიზიანებდა. ბევრს აღიზიანებდა, რომ საქართველოში რეალურად კარგი გუნდი იყო. და მერე „არმიას“ შეეხო სხვა ტიპის ცვლილებები. და კლუბის ლეგიონერებს ქართული, ჯიგრული „აბა ჰე“ უთხრეს. ტულუშმა რამდენიმე ლიდერი დაკარგა. დარჩენილი ქართველი ლიდერები ტრავმებთან ახლობლობენ და ტულუში მაინც ბოლომდე გადის. მესამე ადგილი ამ გუნდისთვის ფლეშია. „არმიამ“ მოიგო, სადღაც მოსაგები წააგო. სადღაც წაგებული ამოიღო და კოტემ არ იცის, დღეს გუნდშია თუ არა. და ეს ბოლომდე იმანაც არ იცის, ვინც გაიგო, რომ კოტე გუნდში არ იყო. ქართული ერუდიციის მომენტია. ესეც მოსულა, ავითვისებთ. კოტემ ერთი თვის წინ „არმიასთან“ ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტულუში „არმიაშია“ და ბალკანელი მწვრთნელის ამბები ჯერ უკანა პლანზეა.

ბერუაშვილი, კაზანჯიანი და ტულუში ნაკრებებში მუშაობენ. და სამიდან ორი უკვე აღარ მუშაობს იქ, სადაც უნდა დარჩენილიყო.

მალე არჩევნები იწყება. ყველას თავისი არგუმენტები ექნება. საქართველო ჯგუფიდან რომ გავიდეს, „ყველა შემთხვევაში გაგვიმართლას“ თემა დაიძვრება. საქართველო რომ ჯგუფში ჩარჩეს, „ნახე, რა მოხაზული გვაქვს, ვერავის ვერ ვუგებთ“ საუბარი დაიძვრება. და ნაკრები, როგორც ნაკრები, ძირითადად ბევრს არ აინტერესებს. ბევრმა მწვრთნელმა დღესაც არ იცის განაცხადის შევსება. ბევრი მწვრთნელი დღესაც ვერ მეგობრობს ინტერნეტთან. ბევრი ჟურნალისტი ვერ არჩევს ფორვარდის და ცენტრის როლს. ბევრს არ უნდა, რომ მეტი ინფორმაცია მიიღოს და ეს ნორმალურია. ეს საქართველოა. რეგრესირებადი ნიჭისა და პროგრესირებადი უსაქმურების უბანი. ამ უბანში მალე არჩევნები დაიწყება.

Fuckტები წამოვიდა. და მეტი წამოვა.

როგორც დავიწყეთ - ზაზა ფაჩულია სლოვენიაში ვერ ითამაშებს. კაპიტანი ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ ააწყვეს და იგორ კოკოშკოვი ზაზას ვერ მიიღებს. მინუსი. თორნიკე შენგელია სლოვენიაში ვერ ითამაშებს. პროხოროვის გუნდის წევრმაც ქირურგებთან შეიარა, კორექციის შემდეგ გაკერილი სხეული უნდა დაასვენოს და გასოლებთან, არაგასოლებთან და გორტატებთან საქართველო ორი დომინანტი მაღალი ბიჭის გარეშე დაიღლება. ძნელი იქნება. ესპანეთთან, სლოვენიასთან, მძიმე და აგრესიულ პოლონეთთან, საკალათბურთო ხორვატიასთან და ამბიციურ ჩეხეთთან ძნელი იქნება. ძნელი იქნება ჩასაფრებულ, დაუნდობელ და დილეტანტურ საქართველოსთან. იმ, მეორე საქართველოსთან, ვისთვისაც პროგრესი არ მოსულა და ვინც სხვის წარუმატებლობას თავის წარმატებად თვლის. სუსტი კაცის ჩვეულებრივი პოზიციაა. ამ მოწინააღმდეგესთან ყველაზე ძნელი იქნება.

ნაკრებს წარმატებებს ვუსურვებ.

პოლონელი მთამსვლელები სამშვიდობოს არიან

შხარა საქართველოს უმაღლესი მწვერვალია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა და მესტიის მუნიციპალურმა სახანძრო და სამაშველო სამსახურმა გუშინ დილიდან, ამინდის გაუმჯობესებისთანავე, საქართველოს უმაღლეს მწვერვალ შხარაზე (5068 მ.) პოლონური ალპინისტური ექსპედიციის წევრების წარმატებული სამძებრო-სამაშველო ოპერაცია ჩაატარეს.

პოლონური ექსპედიციის წევრებმა მწვერვალ შხარაზე. ასვლა რამდენიმე დღის წინ დაიწყეს. 3950 მეტრზე ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს დაზღვევამ უმტყუნა და სიმაღლიდან მოწყდა, რის გამოც ექსპედიცია შეფერხდა და გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

ოპერაციას საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფი სრული სამთო სპეცაღჭურვილობით ახორციელებდა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამაშველო ოპერაციის მსვლელობისას ექსპედიციის ყველა წევრს მიაკვლიეს. საძიებო-სამაშველო ოპერაცია ამინდის გაუარესებისა და ცუდი ხილვადობის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში ფერხდებოდა.

ექსპედიციის ოთხივე წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებენ.

news.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink